



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL FILM CENTER

ცნობის ფუხვანი №1



01.01. – 31.03. 2010

ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსები

2010 წლის 1 იანვრიდან დღემდე დასრულდა კინოცენტრის მიერ გამოცხადებული ოთხი კონკურსი, სამი კი მიმდინარე ფაზაშია.

2010 წელს სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსი
29 მარტს დასრულდა პროექტების მიღება კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. კონკურსი 2010 წლის 22 თებერვალს გამოცხადდა. საკონკურსო ფონდი შეადგენს 250 000 ლარს. სულ შემოვიდა 19 პროექტი.

2010 წელს სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსი
26 მარტს დასრულდა პროექტების მიღება კონკურსზე, რომელიც გამოცხადდა 2010 წლის 22 თებერვალს. საკონკურსო ფონდი არის 300 000 ლარი. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ეროვნული კინოცენტრი მაქსიმუმ შვიდ პროექტს დააფინანსებს. სულ შემოვიდა 43 პროექტი.

2010 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსი
22 მარტს გამოვლინდნენ ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები. კონკურსი 2009 წლის

25 ნოემბერს გამოცხადდა. 18-დან დაფინანსებას პირველ სამ ადგილზე გასული პროექტები მიიღებს:

1. **“ხუთი”** (პროდიუსერი – შპს „სან-გუკო“, რეჟისორები – გიორგი ლიფონავა, თამარ შავგულიძე, ირაკლი ჩხიკვაძე, დავით უჯმაჯურიძე, ნიკა მაჩაიძე) 250 000 ლარი
2. **“მარილივით თეთრი”** (პროდიუსერი – შპს „ჯაგაგრიპი“, რეჟისორი – ქეთი მაჭავარიანი) 75 000 ლარი
3. **“გაყინული შადრევნების წელიწადი”** (პროდიუსერი – შპს „ჯემინი“, რეჟისორი – ვანო ბურდული) 75 000 ლარი

2010 წელს სადიპლომო მხატვრული ან ანიმაციური ფილმების წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსი
2010 წლის 15 თებერვალს გამოვლინდნენ კიდევ ერთი კონკურსის გამარჯვებულები. 2009 წლის 16 ნოემბერს გამოცხადებულ კონკურსში 8 პროექტი მონაწილეობდა. საექსპერტო კომისიამ ხუთი პროექტის დაფინანსებას დაუჭირა მხარი:

1. **“ამომავალი მზის ქვეყანა”** (ანიმაცია, პროდიუსერი: საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – დათო ჯანელიძე, სტუდენტი/რეჟისორი – ნათია ნიკოლაშვილი);
2. **“რეზუს უარყოფითი”** (მხატვრული, პროდიუსერი: საქართვე-

ლოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – დათო ჯანელიძე, სტუდენტი/რეჟისორი – ვაკო კირკიტაძე);

3. **“შოკოლადის ნაყინი საშინლად გემრიელია”** (ანიმაცია, პროდიუსერი: საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – დათო ჯანელიძე, სტუდენტი/რეჟისორი – თინიკო ებრაელიძე);
4. **“ზღვის ანგელოზი”** (მხატვრული, პროდიუსერი: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი – ზაზა ხალვაში, სტუდენტი/რეჟისორი – მონიკა ტენხმიშანი).
5. **“ჩიტების გამოშხამორებელი”** (მხატვრული, პროდიუსერი: საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – დათო ჯანელიძე, სტუდენტი/რეჟისორი – გივი თუხარელი);

2010 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსი
2010 წლის 11 თებერვალს საექსპერტო კომისიამ 2009 წლის 25 ნოემბერს გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვეყნა. კონკურსში სამმა პროექტმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე დაფინანსება ვერც ერთმა პროექტმა ვერ მიიღო.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL FILM CENTER





„რენე მიდის პოლივეუდში“



ალეკო ცაბაძე



„ქუჩის დღეები“



ლევან კოლუაშვილი



„სუსა“



„მესაათე“

კინონარმოება

წარმოების სხვადასხვა ფაზაშია ფილმები, რომლებსაც წინა წლების კონკურსების საფუძველზე ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება აქვს მოპოვებული.

დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები:

„ქუჩის დღეები“ (წარმოება – „დამოუკიდებელი კინოპროექტი“ „მუვინგ ფიქჩერზი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი) „სუსა“ (წარმოება – „კავკასიური ფილმოდრომი“, რეჟისორი – რუსუდან პირველი); ასევე დასრულებულია და საპრემიეროდ მზადდება „რენე მიდის პოლივეუდში“ (წარმოება – „დამოუკიდებელი კინოპროექტი“, რეჟისორი – ალეკო ცაბაძე); დამამთავრებელ ფაზაშია სამონტაჟო სამუშაოები სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებზე „მესაათე“ (წარმოება – „სანგუკო“, რეჟისორი – გიორგი მასხარაშვილი) და მონტაჟის პროცესშია დოკუმენტური ფილმი „ფალავანი“ (წარმოება – „ფალესტრა“, რეჟისორი – თემურ ცავა, ფილმი ლატვიურ-ქართული კოპროდუქციაა, სტუდია „ფალესტრას“ და ლატვიის კინოცენტრის ერთობლივი ნაწარმოები).



“ქუჩის დღეები“

კინოფესტივალები და ბაზრობები

ეროვნული კინოსანტარი როტარდაში

როტერდამის 39-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს აქტუალური იყო საქართველო და ქართული კინო. საკონკურსო პროგრამაში მონაწილე 15 ფილმს შორის იყო ლევან კოლეაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქუჩის დღეები“. ეს თანამედროვე ქართული კინოს დიდი წარმატებაა, რადგან ქართული ფილმი თითქმის ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში არ ყოფილა წამყვანი ევროპული კინოფესტივალების საკონკურსო პროგრამაში. კინოსურათი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით არის გადაღებული.

როტერდამის ფესტივალის სექციაში Bright Future აჩვენეს რუსუდან პირველის ასევე სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სუსა“, რომელსაც 2007 წელს როტერდამის კინოფესტივალის ჰუბერტ ბალსის ფონდის გრანტი აქვს მიღებული პროექტის განვითარებისთვის. ეს ფილმიც საქართველოს ეროვნული კინო-

ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით არის გადაღებული. ფესტივალის სექციაში კი Spectrum ქართულ თემაზე გადაღებული კიდევ ორი ფილმი იყო წარმოდგენილი. მაყურებელმა ნახა ანდრეი ნეკრასოვისა და ოლგა კონსკაიას დოკუმენტური ფილმი „რუსულის გაკვეთილები“ (რუსეთი), რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს ასახავს. ფესტივალი კი დახურა ინეკე სმიტსის მხატვრულმა ფილმმა „მფრინავი ყაზბეგიდან“ (ნიდერლანდები/ბელგია).

კილვ ერთი წარმატება როტარდაში

როტერდამის კინოფესტივალის კოპროდუქციის ბაზრობაზე Cine-Mart წელს 440 განაცხადიდან 33 პროექტი შეირჩა 800-მდე პოტენციური თანადამფინანსებლის წინაშე წარსადგენად. შერჩეულთა შორის იყო ზაზა რუსაძის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ჩემი საბნის ნაკეცი“, რომელსაც უკვე აქვს მოპოვებული როტერდამის კინოფესტივალის ჰუბერტ ბალსის ფონდის გრანტი.

ეს პროექტი საქართველოს კინოცენტრის 2009 წლის კონკურსის გამარჯვებულად არის.

ეროვნული კინოსანტარი მე-60 ბერლინალაზე

11 თებერვალს ბერლინის საიუბილეო – მე-60 საერთაშორისო კინოფესტივალის ევროპული კინოს ბაზრობაზე უკვე ტრადიციულად საქართველოს ეროვნული კინოცენტრის სტენდი გაიხსნა. აქ წარმოდგენილი იყო 2009 წლის ქართული ფილმების კატალოგი, 2008–2009 წლებში შექმნილი ქართული მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების საჩვენებელი DVD-ასლები, ტრეილერები, პოსტერები და სხვა



სარეკლამო მასალა.

ბერლინალეს პროგრამაში Generation Kplus მონაწილეობდა რუსუდან პირველის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სუსა“. ფილმი საქართველოს კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით არის წარმოებული.

Berlinale Talent Campus –ის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში მონაწილე ხუთ ფინალისტს შორის კი იყო გიორგი მრეკლიშვილის დოკუმენტური ფილმი „ანარეკლი“.

“გალმა ნაპირი”-ს ტრიუმფი

გრძელდება გიორგი ოვაშვილის “გალმა ნაპირის” საფესტივალო ტრიუმფი. ფილმმა მოაიარა კიდევ არაერთი ქვეყანა. ბელგიის ქალაქ მონსში 26-ე საერთაშორისო ფესტივალზე ამ ნამუშევარმა გრანპრი აიღო. ასევე ფილმი ჩართული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში პალმ სპრინგსის 21-ე საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში „ოსკარის“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში შესარჩევად. გიორგი ოვაშვილის ფილმში შესრულებული როლისთვის თედო ბექაურს კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის „ფიპრესის“ პრიზი მიენიჭა, როგორც საუკეთესო მამაკაც მსახიობს. “გალმა ნაპირი” მონაწილეობდა ასევე ღვთაძის მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალის კონკურსში და გაიმარჯვა. ხოლო თედო ბექაური ამ ფილმში განსახიერებული როლისთვის დაჯილდოვდა საუკეთესო მამაკაცი მსახიობისთვის დაწესებული პრიზით. ნორვეგიაში ტრომსოს მე-20 საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილე 14 ფილმს შორის იყო გიორგი ოვაშვილის „გალმა ნაპირი“. კინოსურათი ნორვეგიის მშვიდობის კინოპრიზითაც აღინიშნა.

გარდა ამისა, ოვაშვილის ნამუშევარი რუსეთის ფედერაციის ნაციონალური კინემატოგრაფიული



“გალმა ნაპირი“



„აპრილის სუსხი“

პრემიის “ნიკე” 2009 წლის ნომინანტებს შორის მოხვდა. ფილმი, როგორც ქართულ-ყაზახური კოპროდუქცია, მისმა ყაზახმა პროდიუსერმა საინ გაბდულინმა წარადგინა, გიორგი ოვაშვილმა კი უარი თქვა “ნიკეს” დაჯილდოვების ცერემონიაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც 31 მარტს მოსკოვში გაიმართა.

საფრანგეთი, კლიაჟონ ფერანის ფესტივალი

საფრანგეთში კი კლერმონ ფერანის მოკლემეტრაჟიანი ფილმების 32-ე

ფესტივალის საერთაშორისო კონკურსში თორნიკე ბზიავას 15-წუთიანი ფილმი „აპრილის სუსხი“ მონაწილეობდა. ნამუშევარმა კლერმონ ფერანის ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა. ფილმი 1989 წლის 9 აპრილს თბილისში განვითარებულ მოვლენებს ასახავს. ის კომპანია “სინეტექის”, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის და კინოსტუდია “ქართული ფილმის” ერთობლივი პროექტის, “ზაფხულის კინოსკოლის” ფარგლებში შეიქმნა.

პუბლიკაციები

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა და გამოსცა რამდენიმე კატალოგი და წიგნი. მათ შორისაა: 2009 წლის ქართული ფილმების კატალოგი **“ქართული ფილმები 2009”**. მასში თავმოყრილია ინფორმაცია 2009 წელს დასრულებული ქართული მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების შესახებ. ასევე, იმ ნამუშევრების შესახებ, რომლებიც წარმოების ფაზაშია.


საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა წიგნი **„თენგიზ აბულაძე. ანარეკლები“**. (შემდგენლები: ნანა ჯვანელიძე და ნინო ნატროშვილი). წიგნში იმ ადამიანების მოგონებებია თავმოყრილი, ვინც თენგიზ აბულაძესთან ერთად სკოლაში, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტსა თუ მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ კი მასთან ერთად მოღვაწეობდა ქართულ კინოში. წიგნში შედის საინტერესო ფოტომასალა, მას დართული აქვს თენგიზ აბულაძის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღების ჩამონათვალი და ფილმოგრაფია, აგრეთვე მოსაუბრეთა მოკლე ბიოგრაფიები.

კინოცენტრმა დაბეჭდა ასევე **„ქართული მხატვრული კინოს ფილმოგრაფია 1976–2009“**. წიგნის შეადგინეს ლიანა ხოშტარიამ და არჩილ შუბაშვილმა. მასში წარმოდგენილია ინფორმაცია 1976–2009 წლებში შექმნილი ქართული მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმების შესახებ.

ასევე ეროვნულმა კინოცენტრმა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან ერთად შეადგინა და გამოუშვა **“ქრესტომათიის”** ციფრული ვერსია (DVD-დისკებზე) – საოპერატორო ოსტატობის კურსი სტუდენტ ოპერატორებისთვის.

ლონისძიებები

19 მარტს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ლონისძიება სახელწოდებით



„თენგიზ აბულაძე ანარეკლები“ (ავტორი: ნანა ჯვანელიძე)

„გამოდახილი“.


ბრიტანეთის საბჭოს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამ ერთობლივი პროექტის მიზანი იყო კულტურათაშორისი დიალოგის წახალისება, არსებული კონფლიქტების ირგვლივ დისკუსიის გამართვა და წვლილის შეტანა იმ საერთო საქმეში, რასაც ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება ჰქვია.

ნაჩვენები იყო 2 თემატური მხატვრული ფილმი: “სისხლიანი კვირა” (დიდი ბრიტანეთი – ირლანდია, 2002) და “ნეტარების 5 წუთი” (დიდი ბრიტანეთი – ირლანდია, 2009) რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია იმ მწვავე საკითხებზე, რომელიც აწუხებს ქართულ საზოგადოებას. საუ-

ბარი შედგა ფილმების პროდიუსერს, სტუდენტებს და მოწვეულ სტუმრებს შორის: ღონ მოლანი (ფილმების პროდიუსერი), თაკო ტატიშვილი (ეროვნული კინოცენტრის დირექტორი) ლევან კიტია (რეჟისორი) მამუკა ყუფარაძე (სტუდია “რე“-ს ხელმძღვანელი) ანი ჩერქეზიშვილი (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მარკეტინგის მენეჯერი)

სიახლე

თებერვლის ბოლოს შეიცვალა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობა. 2010 წლის 25 თებერვალს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორად დაინიშნა თამარ ტატიშვილი. იგი საქმიანობას შეუდგა 2010 წლის 9 მარტს.



63^e FESTIVAL DE CANNES
12-23 MAI 2010

Julietta Boroch & Brigitta Lacombe - ad design graphique